პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

განათლების რეფორმებისა და უნარების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში

განხორციელების ვადა: 01.01.2024 - 30.12.2026

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 2 500 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 2 500 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

European Training Foundation (ETF)

პროექტის ვებსაიტები: etf.europa.eu/en/eapeducation

პროექტის აღწერა:

განათლების რეფორმებისა და უნარების მხარდაჭერა არის ევროკავშირის პირველი რეგიონული პროგრამა, რომლის მთავარი საკითხია განათლება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. 2.5 მილიონი ევროს დაფინანსების მქონე, სამწლიანი (2024–26) პროგრამის მიზანია განათლების სისტემების ეფექტიანობის, ხარისხის, სამართლიანობის, თანასწორობისა და შესაბამისობის გაუმჯობესება და განათლების სისტემაში დადებითი, გრძელვადიანი და მდგრადი ცვლილებების განხორციელება სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. პროგრამა სამ ფუძემდებლური პრინციპს ეფუძნება:

1. განათლების სწრაფი დიაგნოსტიკა - ანალიზი მთელი სექტორის მასშტაბით ეფუძნება სამ თემატურ განზომილებას, როგორიცაა: უთანასწორობა, დაფინანსება და მმართველობა.
2. პოტენციალის შექმნა პოლიტიკის განსახორციელებლად - ეს ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც ემყარება განათლების სწრაფი დიაგნოსტიკის მეთოდოლოგიას, აძლიერებს დარგობრივი სტრატეგიების ეფექტიანად დანერგვის პოტენციალს და მიზნობრივად არის ორიენტირებული გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.
3. ტრენინგი და კოლეგებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარება რეგიონულ დონეზე - ამ ფუძემდებლური პრინციპის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის საერთო პრობლემებს და აძლიერებს მხარდაჭერას თითოეული ქვეყნის ექსპერტული ცოდნის საფუძველზე.

მოსალოდნელი შედეგები:

ამ პროექტით მიღწეული შედეგები, რომლებიც ხელს შეუწყობს შესაბამის კონკრეტულ მიზნებს, არის შემდეგი:
შედეგი 1: ეროვნული განათლების სექტორების დიაგნოსტიკა დასრულებულია (მაქსიმუმ 5) (პირველი ფუძემდებლური პრინციპი).
შედეგი 2: ეროვნული ადმინისტრაციების/ინსტიტუტების გაძლიერებული პოტენციალი განათლების სისტემის მმართველობის, დაფინანსების და დაგეგმვის საკითხებში (მეორე და მესამე ფუძემდებლური პრინციპები).
შედეგი 3: ტრენინგის და კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების გაუმჯობესებული შესაძლებლობები (მესამე ფუძემდებლური პრინციპი).